# სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

## საქმიანობის ანგარიში

2015 წელი

# საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

- საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობა
- გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა
- ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტი
- ახალი ელექტროსადგურების მშენებლობის ხელშეწყობა
- აღრიცხვის კონტროლი

# საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობა

- საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობა ესკოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად რჩება.

- 2015 წელს საბალანსო ელექტროენერგიის წილმა საბითუმო ვაჭრობაში შეადგინა 10.2%.



# საბალანსო ელექტროენერგიის მომწოდებლები

2015 წელს ესკო-ს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგია შედგება თბოელექტროსადგურების, ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული და ესკო-ს მიერ იმპორტირებული ელექტროენერგიისაგან, რომელთა რაოდენობრივი მაჩვენებლები, თვეების მიხედვით, მოცემულია გრაფიკზე.

ესკო-ს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგია, 2015 წელი




| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იმპორტიორი | 166.07 | 63.14 | 75.65 | 42.12 | 0.92 | 1.61 | 1.33 | 38.57 | 45.42 | 58.08 | 83.45 | 122.88 |
| თბოელექტროსადგური | 0.00 | 0.00 | 0.00 | 20.91 | 0.20 | 0.46 | 21.48 | 0.00 | 2.41 | 83.81 | 8.78 | 7.22 |
| ჰიდროელექტროსადგური | 37.53 | 34.83 | 15.60 | 22.87 | 24.64 | 25.09 | 17.52 | 16.13 | 19.80 | 23.68 | 28.15 | 45.97 |

# ელექტროენერგიის მომწოდებლების მონაწილეობა საბალანსო ელექტროენერგიის ფორმირებაში

| ელექტროენერგიის გამყიდველები | 2015 წელი | |
|---|---|---|
| | კვტ.სთ | წილი, % |
| ჰიდროელექტროსადგური | 311 812 745.8 | 27% |
| თბოელექტროსადგური | 145 268 217.7 | 13% |
| იმპორტიორი | 699 226 398.6 | 60% |
| ჯამი | 1 156 307 362.1 | 100% |

ჰესების, თესების და იმპორტის წილი საბალანსო ელექტროენერგიაში, 2015 წელი



# საბალანსო ელექტროენერგიის მყიდველები

2015 წელს, ესკო-დან საბალანსო ელექტროენერგიის მყიდველები ძირითადად იყვნენ გამანაწილებელი ენერგოკომპანიები, პირდაპირი მომხმარებლები და ექსპორტიორები. 2015 წლის თებერვლის თვეში აფხაზეთის მოხმარების ნაწილობრივ უზრუნველყოფა მოხდა საბალანსო ელექტროენერგიის ხარჯზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საბალანსო ელექტროენერგიის მყიდველების რაოდენობრივი მაჩვენებლები, თვეების მიხედვით, მოცემულია გრაფიკზე.

ესკო-ს მიერ გაყიდული საბალანსო ელექტროენერგია, 2015 წელი




| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ექსპორტიორი | 0.00 | 0.001 | 0.00 | 0.10 | 0.00 | 0.80 | 0.31 | 0.02 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| აფხაზეთში მიწოდება | 0.00 | 2.28 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| გამანაწილებელი ენერგოკომპანია | 180.72 | 69.90 | 60.76 | 82.97 | 24.69 | 24.91 | 38.52 | 47.09 | 52.85 | 163.04 | 118.49 | 173.33 |
| პირდაპირი მომხმარებელი | 22.88 | 25.78 | 30.49 | 2.83 | 1.07 | 1.45 | 1.50 | 7.59 | 14.78 | 2.54 | 1.88 | 2.75 |

# კვალიფიციური საწარმოების მონაწილეობა საბალანსო ელექტროენერგიის შესყიდვაში

| ელექტროენერგიის მყიდველები | 2015 წელი | |
|---|---|---|
| | კვტ.სთ | წილი, % |
| პირდაპირი მომხმარებელი | 115 530 454.1 | 10.0% |
| გამანაწილებელი ენერგოკომპანია | 1 037 264 296.3 | 89.7% |
| აფხაზეთში მიწოდება | 2 284 118.1 | 0.2% |
| ექსპორტიორი | 1 228 493.6 | 0.1% |
| ჯამი | 1 156 307 362.1 | 100.0% |

# პირდაპირი მომხმარებლების, განაწილების ლიცენზიატებისა და ექსპორტიორების მიერ საბალანსო ელექტროენერგიის შესყიდვის წილობრივი მაჩვენებლები, 2015 წელი



# გასაყიდი საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირება

გასაყიდი საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირება ხდება ესკოს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგიის *საშუალო შეწონილი ფასით*



# მცირე სიმძლავრის დერეგულირებული ელექტროსადგურების საბალანსო ელექტროენერგიის ფასი

მცირე სიმძლავრის დერეგულირებული ელექტროსადგურებისაგან ესკო საბალანსო ელექტროენერგიას შეისყიდის:

- *სექტემბრიდან-მაისამდე პერიოდში – იმ თბოელექტროსადგურის ტარიფის ზედა ზღვრით, რომელსაც კომისიამ დაუდგინა ყველაზე მაღალი ტარიფი;*
- *მაისიდან-სექტემბრამდე პერიოდში –წარმოების ყველაზე დაბალი ტარიფის მქონე მარეგულირებელი ელექტროსადგურის ტარიფით (1.17 თეთრი/კვტ.სთ).*



# გარანტირებული სიმძლავრე

- ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობას, უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირებას ემსახურება გარანტირებული სიმძლავრე.
- გარანტირებული სიმძლავრის წყაროს და თითოეული გარანტირებული სიმძლავრის წყაროსთვის გარანტირებული სიმძლავრის მინიმალურ ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.
- თითოეული გარანტირებული სიმძლავრის წყაროსათვის გარანტირებული სიმძლავრის საფასურს დღიურ ბაზისზე და უზრუნველყოფის პერიოდებს ადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.
- გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა ხდება მხოლოდ ესკოს მეშვეობით პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით.

# საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული გარანტირებული სიმძლავრის წყაროები და გარანტირებული სიმძლავრის მინიმალური ოდენობა, 2015 წელი

| | |
|---|---|
| აირტურბინული ელექტროსადგური | 65 მგვტ |
| გარდაბნის თბოელექტროსადგური №3 ენერგობლოკი | 100 მგვტ |
| გარდაბნის თბოელექტროსადგური №4 ენერგობლოკი | 100 მგვტ |
| გარდაბნის თბოელექტროსადგური №9 ენერგობლოკი | 180 მგვტ |
| გარდაბნის კომბინირებული ელექტროსადგური | 162 მგვტ |

# გარანტირებული სიმძლავრის წყაროებისთვის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ განსაზღვრული საფასური და უზრუნველყოფის პერიოდები

| აირტურბინული ელექტროსადგური | გარდაბნის თბოელექტროსადგური №3 ენერგობლოკი | გარდაბნის თბოელექტროსადგური №4 ენერგობლოკი | გარდაბნის თბოელექტროსადგური №9 ენერგობლოკი | გარდაბნის კომბინირებული ელექტროსადგური |
|---|---|---|---|---|
| 42 360 ლარი/დღე | 20 909 ლარი/დღე | 23 800 ლარი/დღე | 63 806 ლარი/დღე | 366 173 ლარი/დღე |
| 335 დღე | 400 დღე | 369 დღე | 404 დღე | 361 დღე |

- *მარეგულირებელი კომისიის დადგენილების თანახმად, უზრუნველყოფის პერიოდები (დღეების რაოდენობა) გარდაბნის თბოელექტროსადგურის №№ 3, 4, 9 ენერგობლოკებისთვის განისაზღვრა 2014 წლის სექტემბრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (16 თვე), გარდაბნის კომბინირებული ელექტროსადგურისთვის 2015 წლის ნოემბრიდან 2016 წლის იანვრამდე, აირტურბინული ელექტროსადგურის კი, წინა წლის მსგავსად, განსაზღვრული იყო კალენდარული წლის საფუძველზე.*

# წყაროების მიერ უზრუნველყოფილ გარანტირებულ სიმძლავრეზე მიღებული თანხები, 2015 წელი

- *ესკო გარანტირებული სიმძლავრის საფასურს უნაზღაურებს გარანტირებული სიმძლავრის მხოლოდ იმ წყაროებს, რომელთა მზადყოფნაც და მზადყოფნის პერიოდიც დადასტურებულია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ.*

| უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრის საფასური, 2015 წ. | შპს „მტკვარი ენერგეტიკა" | შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია" | | შპს „ჯიფაუერი" | შპს „გარდაბნის თბოსადგური" |
|---|---|---|---|---|---|
| | №9 ენერგობლოკი | №3 ენერგობლოკი | №4 ენერგობლოკი | აირტურბინული ელექტროსადგური | კომბინირებული ელექტროსადგური |
| უზრუნველყოფის პერიოდი (დღეთა რაოდენობა) | 296 | 295 | 261 | 335 | 61 |
| გარანტირებული სიმძლავრის საფასური (მლნ.ლარი) | 18.89 | 6.17 | 6.21 | 14.19 | 22.34 |

## გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველები

- გამანაწილებელი ენერგოკომპანია
- პირდაპირი მომხმარებელი
- ექსპორტიორი

- *გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმო ვალდებულია აანაზღაუროს გარანტირებული სიმძლავრის საფასური გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების ფაქტობრივ ჯამურ მოხმარებასა და ექსპორტში მისი ფაქტობრივი მოხმარების ან ექსპორტის წილის პროპორციულად*

# კვალიფიციური საწარმოების მიერ 1 კვტ.სთ-ზე გადახდილი გარანტირებული სიმძლავრის საფასური, თვეების მიხედვით, 2015 წელი




- *კვალიფიციური საწარმოების მიერ 1 კვტ.სთ-ზე გადახდილი გარანტირებული სიმძლავრის საშუალო საფასურმა 2015 წელს 0.73466 თეთრი/კვტ.სთ შეადგინა.*

# გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების შესყიდვის წილი მთლიან შესყიდვაში, 2015 წელი



# ესკოს მიერ განხორციელებული იმპორტი და ექსპორტი

- 2015 წელს ესკოს მიერ იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა შეადგენს 630.6 მლნ. კვტ.სთ-ს, რაც მთლიანად ქვეყანაში განხორციელებული იმპორტის (699.2 მლნ. კვტ.სთ) 90.2%-ია. ელექტროენერგიის იმპორტი განხორციელდა რუსეთის ფედერაციიდან (511.0 მლნ. კვტ.სთ), აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან (101.7 მლნ. კვტ.სთ) და სომხეთიდან (17.9 მლნ. კვტ.სთ). ესკოს მიერ განხორციელებულ იმპორტში მნიშვნელოვანი წილი რუსეთის ფედერაციასთან დამაკავშირებელ ელექტროგადამცემ ხაზებზე მოდის.
- 2015 წელს ესკოს მიერ ექსპორტირებულია 169.61 მლნ. კვტ.სთ ელექტროენერგია, რაც ქვეყნიდან ფაქტიურად განხორციელებული ექსპორტის (659.9 მლნ.კვტ.სთ) 25.7%-ს შეადგენს. ექსპორტირება მოხდა ორ მეზობელ ქვეყანაში: რუსეთის ფედერაციასა (169.6 მლნ. კვტ.სთ) და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში (0.01495 მლნ. კვტ.სთ). იმპორტის მსგავსად, ესკოს ექსპორტის ძირითადი წილი რუსეთის ფედერაციაზე მოდის.






# აღრიცხვის სისტემების მონიტორინგი

- ელექტროენერგიის საანგარიშსწორებო აღრიცხვის წერტილების მონიტორინგის მიზნით, აღრიცხვის კონტროლის დეპარტამენტის აუდიტორების მიერ (დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად) დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, 2015 წელს განხორციელდა 1024 საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძის ინსპექტირება. ყველა მათგანზე შედგა საბითუმო (კომერციული) აღრიცხვის კვანძის ინსპექტირების აქტი.

- კვალიფიციური საწარმოს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციის ან რეგისტრაციაში ცვლილების შემთხვევაში, კომისიური წესით შემოწმდა და ექსპლუატაციაში მიღებული იქნა საბითუმო ვაჭრობაში გამოსაყენებელი 34 ახალი საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძი და შედგა ელექტროენერგიის საბითუმო ვაჭრობაში გამოსაყენებელი აღრიცხვის კვანძის შემოწმების აქტები.

- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ წარმომადგენლებთან ერთად შემოწმდა შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძები და შედგა შესაბამისი აქტები.
- 
- 2015 წელს სულ განხორციელდა 43 მივლინება. აქედან, 15 მივლინება განხორციელდა სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მიერ 2015 წლისათვის დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, 27 მივლინება - კვალიფიციური საწარმოს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციის ან რეგისტრაციაში ცვლილების შემთხვევაში და 1 მივლინება, შპს „ვარდნილჰესების კასკადში“ საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძების შემოწმების მიზნით.

- ინსპექტირების დროს გამოვლენილ ყველა ხარვეზზე, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მიერ განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი რეაგირება.
- განახლდა საბითუმო ვაჭრობაში გამოსაყენებელი აღრიცხვის კვანძების მონაცემთა ერთიანი ბაზა.

# ახალი ელექტროსადგურების მშენებლობის ხელშეწყობა

- მთავრობასა და ინვესტორს შორის გაფორმებული მემორანდუმების შესაბამისად, 2015 წელს ელექტროენერგიის სავალდებულო შესყიდვის 4 ხელშეკრულება გაფორმდა:

  - *მთავრობა – ესკო – შპს "ჰიდროლეა“ (შპს "დარჩი")*
  - *მთავრობა – ესკო – შპს "ჰიდროლეა“ (შპს "კასლეთი-1")*
  - *მთავრობა – ესკო – შპს "ჰიდროლეა“ (შპს "კასლეთი-2")*
  - *მთავრობა – ესკო – სს "ნენსკრა ჰიდრო“.*

# ესკოს სტრუქტურა



**WWW.ESCO.GE**